ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1928 წლის ივნისის 16.	№ 13 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ:

მუხ. 138. 1927-28 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის გაყიდვის დროს კრედიტის გაცემის შკალის შესახებ.

„ 139. ა/კსფსრ ადგილების სატარიფო ზოლებისათვის მიკუთვნების შესახებ.

„ 140. არამეტრულ დანაწილებიან (შკალიან და ციფერბლატიან) საზომ-საწონთა და ზომა-წონის ხელსაწყოთა ა/კსფსრ-ში წარმოებისა, შემოზიდვისა და დადაღვის აკრძალვის შესახებ.

„ 141. კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხის გადახდევინებისა და დახარჯვის წესის შესახებ.

„ 142. წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნის დროს გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების გაცემის შესახებ.

„ 143. ხმარებიდან გამოსული სასტამბო შრიფტის (გარტი) ფასის შესახებ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 9 Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐ.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)
1928 წ. მაისის 15.

138. 1927-28 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის გაყიდვის დროს კრედიტის გაცემის შკალის შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კო-

მისარიატის 1927 წ. დეკემბრის 27 თარიღის დადგენილების თანახმად, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავის 1927 წ. თებერვლის 19-ს თარიღისა და 6/121 №-ის დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი შკალა კრედიტის მიცემისა უღარიბესი ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობებისათვის, იმ სამანქანო ამხანაგობებისათვის, რომლებიც უპირატესად ღარიბთაგან შესდგებიან, გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებათა კომიტეტებისათვის, სახელმწიფო და კოოპერატიული გამქირავებელი და მარცვლის საწმენდი პუნქტებისათვის როგორც საკავშირო წარმოებისა, ისე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე შემოზიდული სამპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის მიყიდვის დროს:

მანქანებისა და იარაღის სახელწოდება	მანქანის ღირებულება	ბეს რეგულირება პროცენტულად	რამდენ მოსავალზე განაწილდება ვადა			
			1-ლი მოსავლის შემდეგ	მე-2 მოსავლის შემდეგ	მე-3 მოსავლის შემდეგ	მე-4 მოსავლის შემდეგ
		ანგ-	შის	ნაღ	დი გ	ასწ.
1) ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქ ნა და იარაღი, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სათადარიგო ნაწილები, ღირებულებით 12 მანათამდე, აგრეთვე მანილიის ძნის საკვერელი კანაფი გაიყიდება						
2) გუთანი	12-დან 100 მან.-დე	20	30	30	20	—
3) თეფშებიანი ფარცხი	„	20	30	30	20	—
4) კულტივატორი	„	20	30	20	20	—
5) ბუკკერი	„	20	30	30	20	—
6) სათესი მანქანა სამწკრივო, სახნისიანი სათესი)	12-დან 150 მან-დე	20	25	30	25	—
7) იგივე	150 მან-დან და მეტი	10	20	30	25	15
8) საკვების დამმზადებელი მანქანა	12 მან-დან და მეტი	30	35	35	—	—
9) მარცვლის გადამოკვევი მანქანა	200 მანეთამდე	20	30	30	20	—
10) ტრიერი	200 მან. მეტი	10	20	25	25	20
11) ჭირნახულის ამკრეფი მანქანა	200 მანეთამდე	20	25	30	25	—
12) ძნისმკოელი და ჭირნახულის ამკრეფი მანქანა	200 მან. მეტი	10	20	25	25	20
13) სალეწი ხელით და ცხენით და მარტო ცხენით	250 მანეთამდე	25	30	30	15	—
14) სალეწი ნახევრად რთული და სალეწი გარნიტურ.	750 მანეთამდე	20	25	30	25	—
15) სალეწი ნახევრად რთული და რთული . .	750 მ.-ნ-დან და მეტი	15	20	25	25	15
16) რძის ინვენტარი	12 მანეთიდან	30	35	35	—	—
17) სათადარიგო ნაწილები	12 მან. მეტი	50	50	—	—	—
18) სეფის სასრეცი და სხვა სამრ. მანქანები . .		25	25	30	20	—
19) მევენახეობისა და მეღვინეობის მანქანები და იარაღი	12-დან 100 მან-დე	25	75	—	—	—
20) იგივე	100-დან 500 მან-დე	25	40	35	—	—
21) იგივე	500 მან-დან და მეტი	25	30	25	20	—
22) სას.-სამ. პროდუქტების დამმუშავებელი მანქანები და იარაღი	12-დან 100 მან-დე	50	50	—	—	—
23) იგივე	100-500 მან-დე	30	40	30	—	—
24) იგივე	500 მან. და მეტი	25	30	25	20	—
25) შაბიამანი, გოგირდი, სასხურებელი და შეაფრქვევი		25	75	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. გადახდის ვადად „1-ლი მოსავლის შემდეგ“ იმ სასოფლო-საძეურნეო მანქანებისა და იარაღისათვის, რაც ივლისის 1-ლის შემდეგ იქნება გაყიდული, ჩაითვალოს შემდეგი საოპერაციო წლის მოსავალი.

§ 2. საშუალო ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათათვის და იმ სამანქანო ამხანაგობათათვის, რომლებიც უპირატესად შუათანაანაგან შესდგებიან, დაწესებულ იქნეს შემდეგი შკალა კრედიტის მიცემისა 1927-28 წელს მათთვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის მიყიდვის დროს:

მანქანებისა და იარაღის სახელწოდება	მანქანის ღირებულება	ბეს რაოდენობა პროცენტულად	რამდენ მოსავალზე განაწილდება ვადა			
			1-ლი მოსავლის შემდეგ	მე-2 მოსავლის შემდეგ	მე-3 მოსავლის შემდეგ	მე-4 მოსავლის შემდეგ
1) ყველა სას.-სამ. მანქანა და იარაღი, წვრილი სას.-სამ. ინვენტარი და სათადარიგო ნაწილები, ღირებულებით 12 მან.-დე აგრეთვე მანილის კანაფი		ანგ-	‘ შის	ნაღ	დი	გ ასწ.
2) გუთანი	12-დან 100 მან-დე	35	40	25	—	—
3) ფარცი	,,	35	40	25	—	—
4) კულტივატორი, სამარგლე, ბიწის შემომყრ.	,,	35	40	25	—	—
5) ბუკეერი	,,	35	40	25	—	—
6) სათესი მანქანა (მწკრივად სათესი და სახნისანი)	12-დან 150 მან-დე	25	25	25	25	—
7) იგივე	150 მ.ნ-დან და ძეტი	20	25	30	25	—
8) საკვების დამმზადებელი მანქანა	12 მან-დან და მეტი	50	25	25	—	—
9) მარცვლის გადამრკვევი	200 მანეთამდე	35	25	25	15	—
10) მარცვლის გადამრკვევი ტრიიერი	200 მან. მეტი	25	25	20	20	10
11) ჭირნახულის ამკრეფი მანქანა	200 მან-დე	35	25	25	15	—
12) ძნის საკვრელი და ჭირნახულის ამკრეფი მანქ.	200 მან. მეტი	25	20	25	20	10
13) სალეწი ნახევრად რთული, სალეწი გარნიტურ.	750 მანეთამდე	35	25	20	20	—
14) სალეწი ხელით და ცხენით და მარტო ცხენ.	250 მ.ნეთამდე	40	30	30	—	—
15) სალეწი ნახევრად რთული და რთული	750 მან-დან და მეტი	30	20	25	25	—
16) რძის ინვენტარი	12 მან-დან და მეტი	50	50	—	—	—
17) სათადარიგო ნაწილები	12 მან. მეტი	50	50	—	—	—
18) სელის სასრეცი, ძრავი, ლოკომობილი და სხვ.		50	50	—	—	—
19) მევენახეობისა და მეღვინეობის მანქანა და იარაღი	100 მანეთამდე	ანგ-	‘ შის	ნაღ	დი	გ ასწ.
20) იგივე	100-500 მან-დე	40	60	—	—	—
21) იგივე	500 მან-დან და მეტი	30	40	30	—	—
22) სას.-სამ. პროდუქტების დამმუშავებელი მანქანა და იარაღი	100 მანეთამდე	ანგ-	‘ შის	ნაღ	დი	გ ასწ.
23) იგივე	100-დან 500 მან-მდე	50	50	—	—	—
24) იგივე	500 მან-დან და მეტი	30	40	30	—	—
25) შაბიამანი, გოგირდი, შესაფრქვევი, სასხურებელი		50	50	—	—	—

შენიშვნა. გადასახადის ვადად „პირველი მოსავლის შემდეგ“ იმ სას.-სამ. მანქანებისა და იარაღისათვის, რაც ივლისის 1-ლის შემდეგ იქნება გაყიდული, ჩაითვლება შემდეგი საოპერაციო წლის მოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 3. უკეთუ სამ.-სამეურნეო მანქანები, მიუხედავად კრედიტის შეღავათიან პირობებით გაცემისა, სრულად არ გასაღდება სოფლის ღარიბ და საშუალო ფენებში, შეიძლება იგი მიეყიდოს გლეხთა ზედა ფენებს ანგარიშის ნაღდი გასწორებით.

§ 4. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინაგაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მართველი **შაროვი.**

დამტკიცებულია ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. მაისის 17-ს (ოქმი № 8)

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 130 №-ში 1928 წ. ივნისის 7-ს.

დადგენილება № 89 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 1.

139. ა/კსფსრ ადგილების სატარიფო ზოლებისათვის მიკუთვნების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში სატარიფო ზოლების დადგენის წესის შესახებ" 1928 წლის აპრილის 14-ს თარიღით გამოცემული (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 97 №-ში 1928 წ. აპრილის 17-ს) დადგენილების 1 მუხლის თანახმად—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ-ში შემდეგი განაწილება ადგილებისა სატარიფო ზოლებზე:

ა) ქალაქები ბაქო, ტფილისი და ერივანი—1-ლი ზოლი;

ბ) ყველა დანარჩენი ქალაქი, სამაზრო ცენტრი და სამაზრო ადგილი—მე-2 ზოლი.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „სატარიფო ზოლებისა და სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ" დეკემბრის 5-ს თარიღითა და 385 №-ით გამოცემული დადგენილების მე 3 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ-ში სამუშაო ხელფასის მინიმუმი განისაზღვრება:

ა) 1-ლი ზოლისათვის—10 მანეთი;

ბ) მე-2 ზოლისათვის—9 მანეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მე-2 მუხლით დაწესებული მინიმუმი ის მინიმალური თვიური სამუშაო ხელფასია ნორმალური სამუშაო დროისათვის, რაზედაც ნაკლების მიცემის უფლება არც ერთ დაწესებულებასა და საწარმოს (სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ ან კერძოს) არა აქვს.

4. მე-2 მუხლით დაწესებულ მინიმუმზე ნაკლები სამუშაო ხელფასის მიცემა დევნილ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფლ. განყ. გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულია: ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომ-ტთან (ა/წ. მაისის 7-ს თარიღისა და 21417 №-ის მიმართვა).

ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან (1928 წ. მაისის 31-ს თარიღისა და 057335 №-ის მიმართვა).

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 131 №-ში 1928 წ. ივნისის 8-ს.

სავალდებულო დადგენილება № 29 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1928 წ. მარტის 10.

140. არამეტრულ დანაწილებიან (შკალიან და ციფერბალტიან) საზომ-საწონთა და ზომა-წონის ხელსაწყოთა ა/კსფსრ-ში წარმოებისა, შემოზიდვისა და დადაღვის აკრძალვის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების მე-11 § ს მე-6 პუნქტისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მეტრული სისტემის საზომ-საწონთა შემომღები ცენტრალური კომისიის 1928 წლის იანვრის 21-ს თარიღისა და 76 №-ის დადგენილების თანახმად — ამერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. აღკრძალულ იქნეს 1928 წლის ივნისის 1-დან დამზადება და შემოზიდვა ა/კსფსრ-ში ყოველგვარი საზომისა და ზომის ხელსაწყოსი, რასაც, მეტრულ დანაწილებასთან ერთად, აქვს აგრეთვე ზომის სხვა სისტემის დანაწილებაც (მაგალითად ხვეული, რომელიც იყოფა სანტიმეტრებზე და თანაც ვერშოკებზე, დიუიმებზე ან საჟენის ასეულ ნაწილებზე).

2. ის საზომი, რომელსაც, მეტრულ დანაწილებასთან ერთად, აქვს არამეტრული დანაწილებაც, შეიძლება გაიყიდოს იმ დრომდე, ვიდრე მთლად გათავდება სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა საწყობებში ამ ჟამად ქონებული მარაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით, საწყობებში მარაგად ჭონებული, აგრეთვე 1928 წლის ივლისის 1-დე ახლად დამზადებული ზემოაღნიშნული სახის საზომები, რაც შეესაბამება სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ 1926 წ. იანვრის 20-ს დამტკიცებულ (ოქმი № 4, № 4/430) წესებს ზომა-წონის მთავარ პალატისას, დაღდასმულ უნდა იქნეს 1928 წ. ოქტომბრის 1-დე და ამ ვადის შემდეგ ამ საზომების პირველადი დადაღვა აკრძალულია.

შენიშვნა. დადგენილება ესე გავრცელდება ყველა იმ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საწარმოზე, რომელიც აკეთებს საზომებს და რომელსაც შემოაქვს ეს საზომები.

3. დაევალოს: ა) ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და შინამრეწველობისა და სასარეწაო კოოპერაციის ცენტრალურ ორგანოებს გასცენ თავიანთი ხაზით სპეციალური განკარგულება არამეტრულ დანაწილებიან საზომების დამზადების მოსპობის შესახებ.

ბ) ა/კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გასცეს სპეციალური განკარგულება არამეტრულ დანაწილებიან საზომებზე და ხელსაწყოებზე ლიცენზიის გაცემის მოსპობისა და ამ საზომებისა და ხელსაწყოების შემოზიდვის შესახებ;

გ) ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატამ გასცეს განკარგულება ა/კსფრ-ში შემავალი რესპუბლიკების შემმოწმებელი პალატებისათვის —1928 წ. ოქტომბრის 1-დან არამეტრული დანაწილებიანი საზომების შესამოწმებლად და დაღის დასასმელად მიღების აკრძალვის შესახებ.

4. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის შესაფერი მუხლის თანახმად.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის თავმჯდომარე **ნაჯაფოვი.**

მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 132 №-ში 1928 წლის ივნისის 9-ს.

დადგენილება № 82 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის მაისის 15.

141. კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხის გადახდევინებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. აპრილის 17-ს თარიღისა და 232 №-რის დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილება კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხის გადახდევინებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ სოციალური დაზღვევის მთავარ
სამმართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 134 №-ში 1928 წ. ივნისის 12-ს.

დადგენილება № 90 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის ივნისის 11.

142. წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნის დროს გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების გაცემის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მაისის 10-ს თარიღისა და 297 №-რის დადგენილება „წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნის დროს გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების გაცემის შესახებ".

2. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულია ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ივლისის 9-ს თარიღისა და 48 №-ის დადგენილება „წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით მუშების დათხოვნის დროს გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების რაოდენობისა და გაცემის წესის შესახებ" („შრომის კანონმდებლობის ვესტნიკ"-ის მე-13 №-რი, გვ. 17).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფლ. განყ. გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავ. საბჭოსთან: ა/კ. პროფკავ.
საბჭოს თავმჯდომარე **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 134 №-ში 1928 წ. ივნისის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 11 ა/სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(შეჯდითი სიტყვის მთავარი კომიტეტი)

1928 წლის ივნისის 14.

143. ხმარებიდან გამოსული სასტამბო შრიფტის (გარტის) ფასის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „ხმარებიდან გამოსული სასტამბო შრიფტის (გარტის) ფასის დაწესების შესახებ“ 1927 წ. დეკემბრის 4-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესასრულებლად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ პოლიგრაფიული მრეწველობის ყველა საწარმოსათვის ხმარებიდან გამოსულ სასტამბო შრიფტზე (გარტზე), რაც მარტოოდენ ა/კსფსრ სახელმწიფო ასოჩამომსხმელ სახელოსნოებს უნდა გადაეცეს, ფასი 40 კაპ. რაოდენობით ერთი კილო წმინდა წონისათვის ფრანკო-სტამბა—გაყიდვის ადგილი.

2. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი,
ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის
თავმჯდომარე **ლ. აღნიაშვილი.**

ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კ-ტის საქმეთა მმართველი **ს. შახოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 137 №-ში 1928 წ. ივნისის 15-ს.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტ 1474. ტირაჟი 1000